პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

27 დეკემბერი შაბათი 1969 ფასი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი № 301 (14601)

ლენინური წლის გეგმა დაგიუჯავთ ჭეშმარიტ ბრძოლითა

საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის საბოლოო სხდომა

26 დეკემბერს დილიდანვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში კვლავ შეიკრიბნენ რესპუბლიკის მშრომელთა წარმომადგენლები. დეპუტატები სახელმწიფო ადამიანები არიან, და საკითხებს რომლებიც მათ უნდა გადაჭრან, დიდი სახელმწიფო მნიშვნელობა აქვთ.

დილის 10 საათზე დაიწყო საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის საბოლოო სხდომა. თავმჯდომარეობს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი რ. რ. დვალი.

ისევე როგორც წინა დღეს, დეპუტატები განაგრძობდნენ საქართველოს სსრ მომავალი წლის სახალხო-სამეურნეო გეგმისა და ბიუჯეტის შესახებ მოხსენებებისა და თანამოხსენების განხილვას. კამათში გამოვიდნენ დეპუტატები: ლ. ი. სამბაძრაზიშვილი (ბახვის საარჩევნო ოლქი, მახარაძის რაიონი), რ. ა. ჯაფარიძე (კომკავშირელთა საარჩევნო ოლქი, ქ. რუსთავი), ი. მ. ხოხლოვი (ქვედა საქარის საარჩევნო ოლქი, ზესტაფონის რაიონი), შ. შ. ხოჯალი (მესტიის საარჩევნო ოლქი, მესტიის რაიონი), ა. კ. მაკაროვი (ბედიანის საარჩევნო ოლქი, წალკის რაიონი),

(დასასრული მე-2 გვერდზე).

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1970 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო აღგენს:

მუხლი 1. მოწონებულ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1970 წლის სახელმწიფო გეგმა იმ შესწორებებით, რომლებიც შემოიტანეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივმა კომისიებმა.

მუხლი 2. დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1970 წლის სახელმწიფო გეგმის შემდეგი ძირითადი მაჩვენებლები:

	მატება პროცენტებში 1969 წელთან შედარებით
საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობის პროდუქცია	7 პროცენტით
მათ შორის რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობისა	8 პროცენტით
სახელმწიფო ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებანი საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში	6 პროცენტით
მათ შორის სახელმწიფო ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებანი, რომელიც უშუალოდ გამოყოფილი აქვს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს	12 პროცენტით
საერთო სარგებლობის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა	7,7 პროცენტით
მუშებისა და მოსამსახურეთა ხელფასის ფონდი (მშენებლობის, საპროექტო ორგანიზაციების, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების, საკოლმეურნეობათაშორისო და სარემონტო-სამშენებლო და სხვა ორგანიზაციების გამოკლებით)	5,8 პროცენტით
მოგება რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობისა და არასამრეწველო საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროების და უწყებების საწარმოთა და ორგანიზაციათა სამრეწველო საქმიანობიდან	11 პროცენტით

მუხლი 3. უზრუნველყოფილ იქნას, რომ 1970 წელს 1969 წელთან შედარებით გადიდდეს:

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა	6,5 პროცენტით
მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება	14,8 პროცენტით
საცხოვრებელი სახლების საერთო ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემა სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე	8,4 პროცენტით
ბავშვთა რიცხვი სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ რესპუბლიკური დაქვემდებარების სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებებში	4,8 პროცენტით
მოსწავლეთა რიცხვი გახანგრძლივებული დღის სკოლებსა და ჯგუფებში	17,1 პროცენტით
მოსწავლეთა მიღება უმაღლესი სასწავლებლების დღის განყოფილებაზე	5,8 პროცენტით
მოსწავლეთა მიღება საშუალო სპეციალური სასწავლებლების დღის განყოფილებაზე.	7,6 პროცენტით
საავადმყოფოებში საწოლთა რაოდენობა	2,9 პროცენტით

მუხლი 4. დაეკალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს ის წინადადებანი და შენიშვნები საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1970 წლის გეგმის შესახებ, რომლებიც ჩამოყალიბებულია საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივი კომისიების დასკვნებში, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომებზე დეპუტატების მიერ გამოთქმული წინადადებანი და შენიშვნები, და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაშაძე

თბილისი. 1969 წლის 26 დეკემბერი.

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1970 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო აღგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ 1970 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის მოხსენების შიხედვით მიღებული ცვლილებებით, სახელდობრ: სულ შემოსავლის ნაწილში 1.248.982 ათასი მანეთი და გასავლის ნაწილში 1.248.982 ათასი მანეთი და ამას გარდა, საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1971 წლის 1 იანვრისათვის 51.818 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 2. დაწესდეს საქართველოს სსრ 1970 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან — ბრუნვის გადასახადი, საწარმოო ფონდების საფასური, ფიქსირებული გადასახდელები, მოგების თავისუფალი ნაშთი, მოგების ანარიცხები, საშემოსავლო გადასახადი და სხვა შემოსავალი სოციალისტური მეურნეობისაგან — სულ 1.114.355 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 3. დაწესდეს საქართველოს სსრ 1970 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი ხალხნო მეურნეობის დასაფინანსებლად — მძიმე მრეწველობის; სამშენებლო ინდუსტრიის. მსუბუქი და კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შემდგომი განვითარებისათვის — სულ 486.407 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 4. დაწესდეს საქართველოს სსრ 1970 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნობანი სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის — საყოველთაო სწავლების სკოლების, ტექნიკუმების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, ბიბლიოთეკების, კლუბების, თეატრების, პრესის, რადიომაუწყებლობის და განათლებისა და კულტურის სხვა ღონისძიებებისათვის; საავადმყოფოების, სანავშვო ბაგების, სანატორიუმებისა და ჯანმრთელობის დაცვის და ფიზიკური კულტურის სხვა დაწესებულებებისათვის; პენსიებისა და დახმარებებისათვის — სულ 711.166 ათასი მანეთის ოდენობით, აქედან სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტით — 139.021 ათასი მანეთი.

მუხლი 5. დაწესდეს საქართველოს სსრ 1970 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნობანი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, სასამართლო ორგანოების შესანახად 25.772 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 6. დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1970 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში 1.180.591 ათასი მანეთი და გასავლის ნაწილში 799.398 ათასი მანეთი, ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებსა და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივ ბიუჯეტებში ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან და დოტაცია საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 381.193 ათასი მანეთი და, გარდა ამისა, საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1971 წლის 1 იანვრისათვის 31.924 ათასი მანეთი.

მუხლი 7. დაწესდეს საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტები და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი ბიუჯეტები 1970 წლისათვის შემდეგი თანხებით:

(ათას მანეთობით)

	შემოსავალი	ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან %			მათ შორის დოტაცია რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	გასავალი	საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1971 წლის 1 იანვრისათვის
1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	48.694,0	40.266,6	—	48.694,0		2.422,2	
2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	34.094,9	28.554,4	—	34.094,9		1.695,2	
3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	15.886,2	9.081,0	5.089,5	15.886,2		788,6	
4. ქალაქი თბილისი	120.370,0	95.256,5	—	120.370,0		3.593,7	
5. ქალაქი ქუთაისი	13.673,8	8.518,9	—	13.673,8		675,2	
6. ქალაქი ფოთი	3.829,3	2.961,4	—	3.829,3		186,5	
7. ქალაქი ჭიათურა	5.436,1	5.014,0	—	5.436,1		269,3	
8. ქალაქი რუსთავი	10.342,5	8.866,0	—	10.342,5		514,1	
9. ქალაქი გორი	4.615,6	3.323,4	—	4.615,6		228,8	
10. ქალაქი ტყიბული	3.583,9	3.429,5	—	3.853,9		189,7	
11. ქალაქი ზუგდიდი	3.781,9	3.357,6	—	3.781,9		187,1	
12. აბაშის რაიონი	2.381,8	2.089,2	—	2.381,8		117,1	
13. ადიგენის რაიონი	1.996,2	1.692,2	205,7	1.996,2		97,3	
14. ამბროლაურის რაიონი	2.686,4	2.499,6	—	2.686,4		132,1	
15. ასპინძის რაიონი	1.879,2	1.302,0	498,1	1.879,2		91,7	
16. ახალქალაქის რაიონი	4.980,8	4.601,3	—	4.980,8		247,0	
17. ახალციხის რაიონი	4.540,6	4.157,1	—	4.540,6		224,8	
18. ახმეტის რაიონი	3.408,1	3.178,7	—	3.408,1		168,4	
19. ბოგდანოვკის რაიონი	3.153,9	2.989,6	—	3.153,9		155,7	
20. ბოლნისის რაიონი	3.959,2	3.684,6	—	3.959,2		196,0	
21. ბორჯომის რაიონი	3.026,7	2.625,7	—	3.026,7		148,3	
22. გარდაბნის რაიონი	7.083,7	6.396,1	—	7.083,7		352,2	
23. გეგეჭკორის რაიონი	4.274,7	3.961,3	—	4.274,7		211,5	
24. გორის რაიონი	4.947,9	4.490,1	—	4.947,9		245,4	
25. გურჯაანის რაიონი	4.889,6	4.232,5	—	4.889,6		242,5	
26. დმანისის რაიონი	2.970,8	2.795,5	—	2.970,8		146,6	
27. დუშეთის რაიონი	3.470,2	3.159,4	—	3.470,2		170,8	
28. ვანის რაიონი	3.172,0	2.928,4	—	3.172,0		156,6	
29. ზესტაფონის რაიონი	5.081,9	4.610,3	—	5.081,9		252,1	
30. ზუგდიდის რაიონი	5.486,1	5.098,8	—	5.486,1		272,8	
31. თეთრიწყაროს რაიონი	3.250,3	2.852,6	—	3.250,3		160,5	
32. თელავის რაიონი	5.460,5	5.031,4	—	5.460,5		271,0	
33. თერჯოლის რაიონი	2.937,5	2.629,0	—	2.937,5		144,9	
34. თიანეთის რაიონი	2.309,9	2.147,2	—	2.309,9		113,5	
35. კასპის რაიონი	3.595,2	3.115,5	—	3.595,2		177,8	
36. ლაგოდეხის რაიონი	3.912,2	3.559,3	—	3.912,2		193,4	
37. ლანჩხუთის რაიონი	3.410,6	3.101,8	—	3.410,6		168,8	
38. ლენტეხის რაიონი	2.034,5	1.192,7	763,9	2.034,5		99,7	
39. მაიაკოვსკის რაიონი	2.919,9	2.638,0	—	2.919,9		144,0	
40. მარნეულის რაიონი	5.879,9	4.997,8	—	5.879,9		292,0	
41. მახარაძის რაიონი	5.819,8	5.183,3	—	5.819,8		289,0	
42. მესტიის რაიონი	2.355,0	1.359,5	939,3	3.355,0		115,8	
43. მცხეთის რაიონი	3.115,3	2.639,7	—	3.115,3		153,8	
44. ონის რაიონი	2.211,2	2.062,4	—	2.211,2		108,6	
45. ორჯონიკიძის რაიონი	3.049,1	2.842,4	—	3.049,1		150,5	
46. საგარეჯოს რაიონი	2.869,6	2.693,3	—	2.869,6		141,5	
47. სამტრედიის რაიონი	4.394,7	3.788,1	—	4.394,7		217,5	
48. საჩხერის რაიონი	3.364,5	3.045,8	—	3.364,5		166,2	
49. სიღნაღის რაიონი	3.804,9	3.242,0	—	3.804,9		188,2	
50. ქარელის რაიონი	3.314,9	2.918,8	—	3.314,9		163,8	
51. უჯარმის რაიონი	1.322,4	914,8	353,4	1.322,4		64,1	
52. ყვარლის რაიონი	3.214,0	2.934,3	—	3.214,0		158,4	
53. ჩოხატაურის რაიონი	2.771,5	2.546,2	—	2.771,5		136,6	
54. ჩხოროწყუს რაიონი	3.131,1	2.969,0	—	3.131,1		154,6	
55. ცაგერის რაიონი	2.385,7	2.230,0	—	2.385,7		117,8	
56. ცხაკაიას რაიონი	4.348,3	3.829,3	—	4.348,3		215,4	
57. წალენჯიხის რაიონი	3.296,1	3.099,6	—	3.296,1		162,8	
58. წალკის რაიონი	4.031,5	3.755,1	—	4.031,5		199,6	
59. წითელწყაროს რაიონი	2.971,4	2.641,3	—	2.971,4		146,6	
60. წულუკიძის რაიონი	3.280,2	2.970,5	—	3.280,2		162,0	
61. წყალტუბოს რაიონი	4.259,0	3.208,3	—	4.259,0		211,0	
62. ხაშურის რაიონი	3.823,2	3.269,2	—	3.823,2		189,2	
63. ხობის რაიონი	2.772,1	2.513,2	—	2.772,1		136,6	
სულ	449.584,0	373.343,1	7.849,9	449.584,0		19.894,0	

მუხლი 8. დამტკიცდეს 1970 წლისათვის საერთო-საკავშირო სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლის ანარიცხები საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებში და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივ ბიუჯეტებში შემდეგი ოდენობით:

ა) სატყეო შემოსავლიდან, კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადიდან და სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან — 100 პროცენტი;

ბ) ფულისა და ნივთების ლატარიების შემოსავლიდან 100 პროცენტი;

გ) მოსახლეობის საავადმყოფოსა საგანაკეთილო დაზღვევის გადასახდელებიდან — 10 პროცენტი;

დ) მოსახლეობის შენობების, საოჯახო ქონების, ცხოველების ნებაყოფლობითი დაზღვევის და უბედური შემთხვევისაგან სიცოცხლის დაზღვევის გადასახდელებიდან — 100 პროცენტი;

ე) მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან, სსრ კავშირის უცოლო, უქმრო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან და ბრუნვის გადასახადიდან შემოსული თანხებიდან:

	მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან	სსრკ უცოლო, უქმრო, მარტოხელა და მცირეოჯახიანთა გადასახადიდან	ბრუნვის გადასახადიდან
	ანარიცხების პროცენტები		
1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	25	89	52,0
2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	30	90	46,7
3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	100	100	100,0
4. ქალაქი თბილისი	21	91	22,1
5. ქალაქი ქუთაისი	19	78	9,6
6. ქალაქი ფოთი	30	99	49,1
7. ქალაქი ჭიათურა	50	100	72,1
8. ქალაქი რუსთავი	75	100	98,6
9. ქალაქი გორი	50	100	29,6
10. ქალაქი ტყიბული	50	100	49,9
11. ქალაქი ზუგდიდი	50	100	87,5
12. აბაშის რაიონი	50	100	70,2
13. ადიგენის რაიონი	100	100	100,0
14. ამბროლაურის რაიონი	50	100	57,4
15. ასპინძის რაიონი	100	100	100,0
16. ახალქალაქის რაიონი	50	100	75,2
17. ახალციხის რაიონი	50	100	73,2
18. ახმეტის რაიონი	50	100	58,7
19. ბოგდანოვკის რაიონი	50	100	72,9
20. ბოლნისის რაიონი	50	100	64,4
21. ბორჯომის რაიონი	50	100	29,4
22. გარდაბნის რაიონი	50	100	10,9
23. გეგეჭკორის რაიონი	50	100	72,8
24. გორის რაიონი	50	100	55,1
25. გურჯაანის რაიონი	50	100	61,0
26. დმანისის რაიონი	50	100	74,0
27. დუშეთის რაიონი	50	100	54,7
28. ვანის რაიონი	50	100	74,1
29. ზესტაფონის რაიონი	50	100	45,5
30. ზუგდიდის რაიონი	46	100	70,0
31. თეთრიწყაროს რაიონი	50	100	53,5
32. თელავის რაიონი	50	100	71,8
33. თერჯოლის რაიონი	50	100	74,5
34. თიანეთის რაიონი	50	100	80,1
35. კასპის რაიონი	50	100	19,5
36. ლაგოდეხის რაიონი	50	100	43,2
37. ლანჩხუთის რაიონი	50	100	72,7
38. ლენტეხის რაიონი	100	100	100,0
39. მაიაკოვსკის რაიონი	50	100	70,7
40. მარნეულის რაიონი	50	100	66,2
41. მახარაძის რაიონი	50	100	46,8
42. მესტიის რაიონი	100	100	100,0
43. მცხეთის რაიონი	50	100	76,3
44. ონის რაიონი	50	100	63,4
45. ორჯონიკიძის რაიონი	50	100	71,6
46. საგარეჯოს რაიონი	50	100	73,6
47. სამტრედიის რაიონი	40	100	19,3
48. საჩხერის რაიონი	50	100	68,5
49. სიღნაღის რაიონი	50	100	73,4
50. ქარელის რაიონი	50	100	17,9
51. უჯარმის რაიონი	100	100	100,0
52. ყვარლის რაიონი	50	100	64,5
53. ჩოხატაურის რაიონი	50	100	70,0
54. ჩხოროწყუს რაიონი	50	100	84,2
55. ცაგერის რაიონი	50	100	86,0
56. ცხაკაიას რაიონი	50	100	30,1
57. წალენჯიხის რაიონი	50	100	34,8
58. წალკის რაიონი	50	100	77,8
59. წითელწყაროს რაიონი	50	100	79,6
60. წულუკიძის რაიონი	50	100	68,2
61. წყალტუბოს რაიონი	50	100	44,8
62. ხაშურის რაიონი	50	100	66,8
63. ხობის რაიონი	50	100	76,0

მუხლი 9. გადაეცეს სოფლის რაიონების ბიუჯეტებში (შემდგომში მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების ბიუჯეტებზე გადასაცემად) საქართველოს სსრ რესპუბლიკურ ბიუჯეტში შემოსული ბრუნვის გადასახადის ნაწილი, გამოანგარიშებული სამომხმარებლო კოოპერაციის საცალო საქონელბრუნვასთან პროცენტებში, შემდეგი ოდენობით:

ქალაქი ჭიათურა	20	ლანჩხუთის რაიონი	14
ქალაქი ტყიბული	7	ლენტეხის რაიონი	30
აბაშის რაიონი	13	მაიაკოვსკის რაიონი	20
ადიგენის რაიონი	30	მარნეულის რაიონი	5
ამბროლაურის რაიონი	23	მახარაძის რაიონი	3
ასპინძის რაიონი	30	მესტიის რაიონი	30
ახალქალაქის რაიონი	15	მცხეთის რაიონი	5
ახალციხის რაიონი	22	ონის რაიონი	24
ახმეტის რაიონი	24	ორჯონიკიძის რაიონი	20
ბოგდანოვკის რაიონი	24	საგარეჯოს რაიონი	15
ბოლნისის რაიონი	23	სამტრედიის რაიონი	3
ბორჯომის რაიონი	3	საჩხერის რაიონი	13
გარდაბნის რაიონი	2	სიღნაღის რაიონი	3
გეგეჭკორის რაიონი	22	ქარელის რაიონი	3
გორის რაიონი	5	უჯარმის რაიონი	30
გურჯაანის რაიონი	3	ყვარლის რაიონი	16
დმანისის რაიონი	29	ჩოხატაურის რაიონი	18
დუშეთის რაიონი	25	ჩხოროწყუს რაიონი	27
ვანის რაიონი	7	ცაგერის რაიონი	29
ზესტაფონის რაიონი	3	ცხაკაიას რაიონი	5
ზუგდიდის რაიონი	21	წალენჯიხის რაიონი	22
თეთრიწყაროს რაიონი	17	წალკის რაიონი	26
თელავის რაიონი	11	წითელწყაროს რაიონი	8
თერჯოლის რაიონი	5	წულუკიძის რაიონი	18
თიანეთის რაიონი	30	წყალტუბოს რაიონი	5
კასპის რაიონი	3	ხაშურის რაიონი	3
ლაგოდეხის რაიონი	2	ხობის რაიონი	15

მუხლი 10. დაეკალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს საქართველოს სსრ 1970 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ წინადადებანი და შენიშვნები, რომლებიც ჩამოყალიბებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების დასკვნებში, აგრეთვე დეპუტატთა წინადადებანი და შენიშვნები, გამოთქმული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომებზე და მიიღოს მათ მიხედვით შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაშაძე

თბილისი, 1969 წლის 26 დეკემბერი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

საქართველოს სსრ 1968 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო აღგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1968 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შემოსავლის ნაწილში 1.276.385 ათასი მანეთის და გასავლის ნაწილში 1.218.539 ათასი მანეთის ოდენობით, გასავლზე შემოსავლის 57.846 ათასი მანეთის გადამეტებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაშაძე

თბილისი. 1969 წლის 26 დეკემბერი.

შეიქმნა საქართველოს სსრ კოლმეურნეობების საბჭო

26 დეკემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა რესპუბლიკის რაიონების, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობების საბჭოების წარმომადგენელთა კრება.

კრება გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა შ. ი. ჭანუკვაძემ.

კრებამ, კოლმეურნეთა III სრულიად საკავშირო ყრილობის დადგენილების შესაბამისად, აირჩია საქართველოს სსრ კოლმეურნეობების საბჭო 59 კაცის შემადგენლობით.

შეკრებილთ სიტყვით მიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მჟავანაძემ.

კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები.

• • •

გაიმართა საქართველოს სსრ კოლმეურნეობების საბჭოს პირველი სხდომა. საქართველოს სსრ კოლმეურნეობების საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი მ. ბ. ფეფინაშვილი. თავმჯდომარის მოადგილეებად არჩეული არიან წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნ. პ. მამაიაშვილი და მახარაძის რაიონის სოფელ მრომის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მ. შ. ორაგველიძე. (საქდესი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სკკპ წევრი 1925 წლიდან, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, რესპუბლიკის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე ხანგრძლივად ნაშუშეკარი, ამხანაგი

სერგი მარტინის-ძე იუხანოვი

და ხამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ს. მ. იუხანოვის დაკრძალვის მომზადებისა კომისიისაგან

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 27 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, ლერმონტოვის ქუჩა 11-ა და 28 დეკემბერს დღის 2 საათზე, ტექნიკის სახლში ვაკეში.

გამოსვენება კვირას, 28 დეკემბერს დღის 3 საათზე ტექნიკის სახლიდან. დაკრძალვა — საბურთალოს სასაფლაოზე.

ლენინური წლის გეგმა და ბიუჯეტი

(დასასრული)

მისიშერინი (ქუთაისის საარჩევნო ოლქი, ქ. თბილისი), ა. ვ. ბერიძე (ახისის საარჩევნო ოლქი, ქარელის რაიონი), ა. ს. ჯაფარიძე (ვალეს საარჩევნო ოლქი, ახალციხის რაიონი), ნ. დ. ბერიძე (ბინდულარის საარჩევნო ოლქი, ქ. თბილისი), ო. ბ. შენგელია (ლენინის საარჩევნო ოლქი, სამტრედიის რაიონი), ა. ი. კაკაბაძე (საირხის საარჩევნო ოლქი, საჩხერის რაიონი).

დღის წესრიგის პირველ და მეორე საკითხებზე მოხსენებათა და თანამოხსენების განხილვა, როგორც ყოველთვის, საქმიან, შემოქმედებითის ვითარებაში მიმდინარეობს, და მაინც სესიის მუშაობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ის გარემოება, რომ ახლავეე ლენინის იუბილეს წლის გეგმასა და ბიუჯეტს.

მოფიქრებულად, სრული პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდნენ დეპუტატები რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის ხუთწლიანის მეხუთე წლის განვითარების პრობლემების გადაჭრას. მათ გამოსვლებში გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები და წინადადებანი ხელს შეუწყობენ მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი საკითხების წარმატებით გადაწყვეტას. ყველა ორატორმა მთელთაგან ალაბალი მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმისა და რესპუბლიკის ხუთწლედის უკანასკნელი წლის ბიუჯეტის პროექტები, რომლებშიც მკაფიოდ ისახა ზრუნვა საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

ცხადდება შესვენება. შესვენების შემდეგ სხდომას თავმჯდომარეობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი რ. რ. დვალი. შემოქმედ წინადადება კანონთის შეწყვეტის შესახებ.

სესიის ღღის წესრიგის პირველი ორი საკითხის განხილვა მთავრდება.

შემდეგ „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1970 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ“ მოსსენების გამო საბოლოო სიტყვა წარმოთქვა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ დეპუტატმა ე. მ. ჯაფარიძემ.

დეპუტატები ერთხმად იღებენ კანონს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1970 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ.

სესიამ მოისმინა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის დეპუტატ ა. ვ. ბერაძისაგან საბოლოო სიტყვა საქართველოს სსრ 1970 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1968 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

დეპუტატებმა აგრეთვე ერთხმად მიიღეს კანონი საქართველოს სსრ 1970 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

ამტკიცებენ საქართველოს სსრ 1968 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს.

სესია შეუდგა ღღის წესრიგის შემდეგი საკითხის განხილვას. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა დეპუტატმა ზ. ა. კპაბაძემ.

დეპუტატებმა მიიღეს კანონები და დადგენილებანი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ, რომლებიც მიღებულია მეხუთე სესიის შემდეგ განვლილ პერიოდში.

სესიის მუშაობის ღღის წესრიგი ამოიწურა. საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია დახურულად ცხადდება. (საქმენი).

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1970 წლის სახელმწიფო გეგმის, საქართველოს სსრ 1970 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1968 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეკუტატ დ. ვ. გელაშვილის თანამოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო!

ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია მიმდინარეობს ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლა ახალი აღმავლობის ვითარებაში. ეს გასაგებიც არის, რადგან 1970 წელი ხუთწლედის დასაკვნაა — მეხუთე წელია. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ეფერგულად იბრძვიან იმ ამოცანათა შესასრულებლად, რომლებიც დასახა პარტიის XXIII ყრილობამ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი განვითარებისა და ამაღლებისათვის. ეს წელი ამავე დროს ლენინის სიუბილეო წელია. ჩვენი ქვეყნის მშრომელები ემზადებიან ამისათვის, რომ შრომითი გამარჯვებებით შეხვდნენ ლენინის დაბადების 100 წლისთავს. ქარხნებში და მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და სამეურნეოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში სახალხო ახალ კონკრეტულ ღონისძიებებს მიმდინარე ეწყვნენ ამ ისტორიული ფაქტის ღირსეულ აღსანიშნავად. ამ სიბრძნით ბრძოლაში ეფექტურ მუშაობა-ზე, მეტადრე მას შემდეგ, რ ც ახალმა სამეურნეო რეფორმამ ბნიშვნელოვნად გაიფართოთა მათი უფლებები მეურნეობის ხელმძღვანელობის საქმეში. ბიუჯეტის შესრულების საქმეში უფლებების გამოყენების თვალსაზრისით დიდია შრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ამბასკომების როლი. მათ მთლიანად უნდა გამოიყენონ თავიანთი უფლებები სამეურნეო და კულტურულ მშენებლობის წინაშე მდგომი ამოცანების განსახორციელებლად. მეტი ინიციატივა გამოიჩინონ საგეგმო და საფინანსო საკითხების გადაწყვეტის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და სოციალურ-კულტურული მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება საფინანსო ორგანოების შეუფერებელ ყურადღებას ცენტრში უნდა იყოს. საფინანსო აპარატი ხელმძღვანელი და მოადგილე კონტროლორობა როგორც თანმიმდევრული მობილიზაციის, ისე ხარჯების მიზნობრივად გამოყენების საქმეში. საფინანსო მუშაკება ვალდებულნი არიან ღრმად შეისწავლონ სახალხო მეურნეობის ეკონომიური პროცესები, ვამოაღლონონ დამატებითი რეზერვები, წარმართონ თანიანთი საქმიანობა წარმოების ინტენსივობის ამაღლების უზრუნველყოფად, მათ უნდა იზრუნონ საწარმოს სტრუქტურის სრულყოფისა და მატერიალური, შრომითი და ფულადი რესურსების რაციონალურად გამოყენებაზე. საგეგმო-საბიუჯეტო კომისიას მიანაჩნია, რომ როგორც შემოსავლის, ისე ხარჯების გეგმები წლის ბოლომდე წარმატებით შესრულდება. ამ გეგმათა შესრულება ბევრად არის დამოკიდებული ჩვენი სამინისტროების, უწყებებისა და საწარმოების ეფექტურ მუშაობაზე, მეტადრე მას შემდეგ, რ ც ახალმა სამეურნეო რეფორმამ ბნიშვნელოვნად გაიფართოთა მათი უფლებები მეურნეობის ხელმძღვანელობის საქმეში. ბიუჯეტის შესრულების საქმეში უფლებების გამოყენების თვალსაზრისით დიდია შრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ამასკომების როლი. მათ მთლიანად უნდა გამოიყენონ თავიანთი უფლებები სამეურნეო და კულტურულ მშენებლობის წინაშე მდგომი ამოცანების განსახორციელებლად. მეტი ინიციატივა გამოიჩინონ საგეგმო და საფინანსო საკითხების გადაწყვეტის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და სოციალურ-კულტურული მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

ამხანაგო დეპუტატებო! ნება მიბოძეთ, სანამ საქართველოს სსრ 1970 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტზე გადავდგები, მოკლედ დავახასიათო 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობა. ჩვენს ქვეყანაში ოთხეტაპიანი ეკონომიკური ბალანსი საშუალებას გვაძლევდა მოვახესენო სესიას, რომ ბიუჯეტის შესრულების მსვლელობა დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. საგეგმო-საბიუჯეტო კომისიას მიანაჩია, რომ როგორც შემოსავლის, ისე ხარჯების გეგმები წლის ბოლომდე წარმატებით შესრულდება. ამ გეგმათა შესრულება ბევრად არის დამოკიდებული ჩვენი სამინისტროების, უწყებებისა და საწარმოების ეფექტურ მუშაობაზე, მეტადრე მას შემდეგ, რ ც ახალმა სამეურნეო რეფორმამ ბნიშვნელოვნად გაიფართოთა მათი უფლებები მეურნეობის ხელმძღვანელობის საქმეში. ბიუჯეტის შესრულების საქმეში უფლებების გამოყენების თვალსაზრისით დიდია შრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ამასკომების როლი. მათ მთლიანად უნდა გამოიყენონ თავიანთი უფლებები სამეურნეო და კულტურულ მშენებლობის წინაშე მდგომი ამოცანების განსახორციელებლად. მეტი ინიციატივა გამოიჩინონ საგეგმო და საფინანსო საკითხების გადაწყვეტის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და სოციალურ-კულტურული მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

ამხანაგო დეპუტატებო! ეს ბიუჯეტი ჩვენ ვაკეთებთ ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებისა, ეფექტიანი ინვესტიციების, ეფექტიანი ტექნიკის, ტექნოლოგიის, ეფექტიანი ორგანიზაციის, ეფექტიანი ადამიანური რესურსების, ეფექტიანი ფულადი სახსრების ბაზაზე. ეს ბიუჯეტი ეფუძნება ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებას,

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამმართველოების გაერთიანების თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 50-ე და 55-ე მუხლებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1969 წლის 4 ნოემბრისა — „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პერეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს სსრ დამზადებათა საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ";

1969 წლის 1 აგვისტოსი — „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ქიმიური მრეწველობის სამმართველოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ქიმიური მრეწველობის სამმართველოდ გარდაქმნის შესახებ";

1969 წლის 1 აგვისტოსი — „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოდ გარდაქმნის შესახებ".

ამასთან დაკავშირებით შეტანილ იქნას სათანადო ცვლილებები და დამატებები საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 50-ე და 55-ე მუხლებში:

50-ე მუხლიდან ამოღებულ იქნას სიტყვები: „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პერეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე";

50-ე მუხლს სიტყვების შემდეგ: „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსი" დამატებას, სიტყვები: „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ქიმიური მრეწველობის სამმართველოს უფროსი;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოს უფროსი";

55-ე მუხლს სიტყვის „განათლების"-შემდეგ დამატება სიტყვა „დამზადებათა;".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ქოზოენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაპაძე

თბილისი, 1969 წლის 26 დეკემბერი.

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

„საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულებაში ცვლილებათა შეტანის თაობაზე" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ქოზოენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაპაძე

თბილისი, 1969 წლის 26 დეკემბერი.

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

„საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულებაში ცვლილებათა შეტანის თაობაზე" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 13 ოქტომბრის ბრძანებულება „საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულებაში ცვლილებათა შეტანის თაობაზე".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ქოზოენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაპაძე

თბილისი, 1969 წლის 26 დეკემბერი.

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

„საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სსრ მუშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საბიუჯეტო უფლებათა შესახებ" საქართველოს სსრ კანონში ზოგიერთი ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 27 ოქტომბრის ბრძანებულება „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სსრ მუშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საბიუჯეტო უფლებათა შესახებ" საქართველოს სსრ კანონში ზოგიერთი ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ქოზოენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაპაძე

თბილისი, 1969 წლის 26 დეკემბერი.

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

„ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მე-3 და მე-15 მუხლების შევსების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1969 წლის 27 ოქტომბრისა — „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მე-15 მუხლის შევსების თაობაზე";

1969 წლის 9 დეკემბრისა — „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მე-3 მუხლში დამატების შეტანის თაობაზე".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ქოზოენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაპაძე

თბილისი, 1969 წლის 26 დეკემბერი.

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

„ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებისათვის პასუხისმგებლობის დაწესებისა და ამ ნივთიერებათა ბატაცების, უკანონო დამზადებისა და გასაღების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 30 ივნისის ბრძანებულება „ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებისათვის პასუხისმგებლობის დაწესებისა და ამ ნივთიერებათა ბატაცების, უკანონო დამზადებისა და გასაღების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ".

კულტურის ახალი კერა

დღეს ქუთაისში გაიხსნება თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ფილიალი

წარმოდგენილი იქნება ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“



სურათზე: თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ქუთაისის ფილიალის შენობის მაყურებელთა დარბაზი. ფოტო ბ. ბოგოხიასი.

საერთო ზეიმი

უწინარეს ყოვლისა მინდა აღვნიშნო, რომ ქუთაისელთა დღევანდელი ზეიმს მთელი რესპუბლიკა იზიარებს. ეს ეროვნული კულტურის ზეიმია. ქუთაისში ქართული საოპერო და საბალეტო თეატრის ფილიალის ჩამოყალიბება დიდმნიშვნელოვანი ფაქტია. ჩვენს შორის კიდევ არიან ადამიანები, რომლებიც წარსულში პროფესიული ეროვნული საოპერო თეატრის შექმნასა და განმტკიცებაზე ოცნებობდნენ. დღეს ჩვენთან ერთად ისინიც ორმაგად არიან გახარებულნი.

ქუთაისი — საქართველოს ეს მეორე კულტურული და ინდუსტრიული ცენტრი ძველთაგანვე ცნობილია ხელოვნების დიდი სიყვარულითა და პატივისცემით. ქალაქის თეატრალურ ტრადიციებს შორეულ წარსულში მივყავართ. ამჟამად თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ფილიალის გახსნა ზაქარია ფალიაშვილის შშობლიურ ქალაქში სიმბოლიური ფაქტიც გახლავთ. აქ ამ ქალაქში დაირწა აკვანი დიდი ქართველი კომპოზიტორისა, რომლის სახელთან დაკავშირებულია ქართული პროფესიული მუსიკის აყვავება.

ადამიანის სულიერი სამყაროს დიდმნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს მუსიკა. ამიტომ ორმაგად აღსანიშნავია ის ზრუნვა, რომელიც გამოიჩინეს ჩვენმა პარტიამ და მთავრობამ ქუთაისის მშრომელთა მიმართ ამ საგულისხმო მოვლენით — ქუთაისში საოპერო თეატრის ფილიალის გახსნით.

ოთარ თაქთაქიშვილი,
საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი,
რესპუბლიკის სახალხო არტისტი.

□ □

ყოველთვის თქვენთან

ბევრ ქართველ მომღერალს ქუთაისში აუდგამს ფეხი და მეც ამ მუსიკალურ ქალაქში დავიბადე. ქუთაისს კანონიერი უფლება და სრული საფუძველი ჰქონდა ოპერის ქალაქიც გამხდარიყო, და ყველაფერი ეს სინამდვილედ იქცა.

დღეს, ჩვენი ეროვნული კულტურის ზეიმზე, საოპერო თეატრის გახსნაზე ჩამოვედი არა როგორც სტუმარი, არამედ როგორც ამ თეატრის ნომღერალი — აბესალომის როლის შემსრულებელი. თუმცა ახლა პარიზში უნდა ვიყო, სადაც მოსკოვის დიდი თეატრი მართავს გასტროლებს, მაგრამ სიამოვნებით დავთანხმდი ქუთაისში მოწვევაზე. შემდეგ პარიზში გავემგზავრები. მომავალში თქვენთან ხშირად ვიქნები, ქუთათურებო!

მხურვალედ ვულოცავ საოპერო თეატრის გახსნას ქუთაისის მშრომელებს, ყველას, ვინც ამ დიდ საქმეში თავისი წვლილი შეიტანა.

ზურაბ ანჯაფარიძე,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

საახალწლო საჩუქარი

საყოველთაოდ ცნობილია ქუთაისის მდიდარი და უძველესი მუსიკალური ტრადიციები. აქ ცხოვრობდნენ და ქმნიდნენ ქართული ოპერის დიდოსტატები ზაქარია ფალიაშვილი და მელიტონ ბალანჩივაძე. აქ ნახევარი საუკუნის წინათ გაიხსნა მუსიკალური სასწავლებელი. აქვე აღიზრდნენ ბ. ამირანაშვილი, ნ. ცომაია, ე. სოხაძე, ს. გოცირიძე, გ. ტორონჯაძე, რ. გორგიძე და სხვა ცნობილი მომღერლები. აქვე, ქუთაისში სხვადასხვა დროს ხორციელდებოდა საოპერო დადგმები და ბოლოს აქვე შეიქმნა ოპერის სახალხო თეატრი.

სწორედ ამ ტრადიციებმა, თვით ქუთაისის მუსიკალობამ მოამზადა ნოყიერი ნიადაგი იმისათვის, რომ აქ გახსნილიყო საოპერო თეატრის ფილიალი.

ახალი საოპერო თეატრის ოქროს ფონდია მისი სამემსრულებლო დასი. მართალია, ჯერჯერობით დადგმებს ძირითადად თბილისის საოპერო თეატრის ძალები განახორციელებენ, მაგრამ ქუთაისში, უკვე ახლა, მკვიდრდება დასის მუდმივი შემადგენლობა. მაგალითად, ადგილზე იმუშავებენ დირიჟორები — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე თეიმურაზ ჯობახიძე და გიორგი გოცირიძე, რეჟისორი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გივი გაჩიჩილაძე, გუნდის ხელმძღვანელები — ავთანდილ განუგრავა და ავთანდილ მაჭავარიანი, ბალეტმეისტერი ანზორ მაჭარაძე, კონცერტმეისტერები — რუსუდან კილაძე, მანიე ფირცხალაშვილი და ირინა ბელოვა.

დასი ძირითადად იმ ახალგაზრდა მომღერლებით არის დაკომპლექტებული, რომლებსაც თუმცა კონსერვატორია აქვთ დამთავრებული, მაგრამ ჯერ საოპერო თეატრის სცენაზე არ უმღერიათ, და რომლებიც ქუთაისის თეატრთან ერთად იდგამენ ფეხს დიდ სარბიელზე. სწორედ ეს ახალგაზრდობა წარმოადგენს საოპერო თეატრის ფილიალის წამყვან ძალას.

ბალეტის შემადგენლობა ჯერჯერობით მრავალრიცხოვანი არ არის, მაგრამ მაინც პირველ სპექტაკლებში („აბესალომ და ეთერი“, „დარეჯან ცბიერი“) ძირითადად ქუთათელი მოცეკვავეები მიიღებენ მონაწილეობას.

დასის გამგედ მოწვეულია მოსკოვის დიდი თეატრის მსახიობი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი სერგო გოცირიძე.

პირველ სპექტაკლებში—„აბესალომ და ეთერსა“ და „დარეჯან ცბიერში“, რომლებიც დღეს და ხვალ იქნება ნაჩვენები, მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები პეტრე ამირანაშვილი და ზურაბ ანჯაფარიძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტები — მედეა ამირანაშვილი, ნათელა ტუღუში, ირაკლი შუშანია, შოთა კიკნაძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები — გივი ტორონჯაძე, ვლადიმერ კანდელაკი, ახალგაზრდა მსახიობები მანანა ეგაძე, ლამარა გაბუნია, ლამარა კვირიკაძე, ლიანა ღვედაშვილი, ია მესხი, ოლღა ჭურღულია, ანტონ შეიხოვა, ამირან ფხაკაძე, სოსო ოცხელი, გურამ კუბლაშვილი, ანზორ კუბლაშვილი, ანზორ გოგოლაშვილი და სხვები.

ამ პირველ ორ სპექტაკლს დგამს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. გაჩიჩილაძე. „აბესალომ და ეთერს“ დირიჟორობს თ. კობახიძე, ხოლო „დარეჯან ცბიერს“— გ. გოცირიძე. პირველი სპექტაკლის მხატვრობა ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს თ. ასკურავას, ხოლო მეორისა — ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს კ. კუკულაძეს.

მაშ ასე, დღეს ქუთაისში საოპერო თეატრის სცენაზე პირველად აიხდება ფარდა. ამ ახალი წლის წინ ერთმანეთს შეხვდებიან კარგი საახალწლო საჩუქრით აღფრთოვანებული მაყურებლები და ქართული ოპერის გამოჩენილი ოსტატები.

გამარჯობა, კარგი და ბედნიერი ახალი წელი, საერთო კმაყოფილება ვუსურვოთ თეატრსაც და მაყურებელსაც.

დიმიტრი მჰედლიძე,
თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორი,

შალვა მეძველია,
საოპერო თეატრის ქუთაისს ფილიალის დირექტორი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი.

ბედნიერი ეპარ

ქუთაისი ჩემი მშობლიური ქალაქია. აქ დავამთავრე მუსიკალური ტექნიკუმი. აქვე გადავდგი პირველი მოკრძალებული ნაბიჯები, როცა ქუთაისის თეატრში დაიდგა ნაწყვეტები „დემონიდან“ და „დისიდან“. შემდეგშიც ყოველთვის დიდ სიხარულსა და სიამოვნებას მგვრიდა ქუთაისელ მაყურებელთან შეხვედრა.

ეს სიხარული მით უფრო დიდია ახლა, როცა ქუთაისიდან წასული ერთი მომღერლის ნაცვლად ორნი ჩამოვედით. საოპერო თეატრის ფილიალის გახსნისას „აბესალომ და ეთერში“ ჩემთან ერთად ჩემი ქალიშვილი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი მედეა ამირანაშვილიც იმღერებს.

თავს ბედნიერად ვთვლი, რომ წელად მხედა ჩემი შობლიური ქალაქის ზეიმში მონაწილეობა.

პეტრე ამირანაშვილი,
საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი.

ვ ზ ე ი მ ო ბ თ!

დადგა დიდი ხნის ნანატრი წუთები. აღსრულდა ქუთათურთა ოცნება.

ზეიმობს აკაკის, გალაკტიონისა და ლადო მესხიშვილის ქალაქი, ჩვენი რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიული და კულტურული ცენტრი, რომლის შვილთა სახელოვან და მდიდარ ტრადიციებზე იზრდება ახალი ცვლა — მწერლების, მხატვრების, სცენის ოსტატების, მუსიკოსების ახალი თაობა.

ქართული კულტურის აღორძინების კიდევ ერთი დიდი და ჭეშმარიტი დასტურია ქუთაისში საოპერო თეატრის გახსნა. ჩემს ხმას ვუერთებ ყოველი ქუთაისელის, ყოველი ქართველი კაცის ხმას და გულწრფელ მადლობას მოვახსენებ შშობლიურ პარტიასა და მთავრობას მშრომელთა სულიერი მოთხოვნილებების უფრო სრულად დაკმაყოფილებაზე ესოდენ შეუნელებელი ზრუნვისათვის.

დავით კვიცარიძე,
საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი.

მ ა დ ლ ო ბ ა!

საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ზრდის კვალდაკვალ იზრდება მშრომელთა კულტურა, მდიდრდება სულიერი ცხოვრება.

დღეს მშრომელ კაცს სურს რაც შეიძლება სრულად ისარგებლოს ჩვენი საბჭოთა კულტურის სიკეთით, შინაარსიანად გაატაროს თავისუფალი დრო, არა მარტო გართოს და დაისვენოს, კიდეც ბიმდიდრდოს ცოდნა, ეზიაროს კულტურისა და ხელოვნების მიღწევებს.

ქუთაისში საოპერო თეატრის ფილიალის გახსნა კიდევ ერთი ნაბიჯია მშრომელთა კეთილდღეობისა და კულტურის აღმავლობის გზაზე.

ჩვენ, ქართული ავტომობილის მშენებლები, მთელ ქართველ ხალხთან ერთად მადლობას ვუხდით პარტიას ამ დიდებული საჩუქრისათვის.

იოსებ ხაზარაძე,
ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის № 1 ამწყობ-მექანიკური საამქროს გამმართველი სოციალისტური შრომის გმირი.

დიდი სიხარული

დიდი ქართველი კომპოზიტორის მ. ბალახვანაძის ინიციატივით შექმნილმა ქუთაისის მუსიკალურმა სასწავლებელმა მომღერალთა და მუსიკოსთა მთელი პლეადა აღუზარდა ქართველ ხალხს.

ამ სასწავლებელს წლების განმავლობაში ვხელმძღვანელობდი.

ათი წლის წინათ შეიქმნა ოპერის სახალხო თეატრი, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელობა და მთავარი დირიჟორობა მე მქონდა დაკისრებული.

დღეს ქუთაისში უკვდავი „აბესალომ და ეთერის“ სახელმწიფო აკადემიური თეატრის ფილიალი იხსნება. ამ პირველ სპექტაკლს, აგრეთვე „ქეთო და კოტეს“, „წითელქუდას“, „მინდიას“, რომლებიც შემდეგ დადგმება, მე გავუწევ დირიჟორობას.

თუმცა არაერთხელ შევხვედრივარ ჩვენი ქალაქის მაყურებელს, დღეს მაინც ვღელავ. მით უფრო ახლა, როცა რესპუბლიკის და მთელი ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ მომღერლებთან ერთად მიხდება გამოსვლა.

თეიმურაზ კობახიძე,
საოპერო თეატრის ქუთაისის ფილიალის დირიჟორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

სიყვარულმა აამენა

საოპერო თეატრის ფილიალი — ეს შესანიშნავი საახალწლო საჩუქარი, ქართული თვითმყოფი კულტურის ზეიმი, ჩვენი პარტიის დაუცხრომელი ზრუნვის მკაფიო გამოხატულებაა.

ქუთაისის საოპერო თეატრი ფილარმონიის სახლამორი თეატრის ყოფილ შენობაშია მოთავსებული. „მოთავსებულიო“ ვამბობთ, თორემ ეს „მოთავსება“ უბრალოდ ძველ ბინაში შესახლება როდი იყო. მით უფრო ცხადი გახდება ეს, თუ გავითვალისწინებთ საოპერო თეატრის სპეციფიკასა და ისედაც ძველი თეატრის მოძველებულ მოწყობილობას. ყველაფერმა — სცენიდან ინტერიერებამდე, თეატრის წინა მოედნის ჩათვლით, ძირეული რეკონსტრუქცია განიცადა.

შესრულდა საკმაოდ დიდი მოცულობის სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოები. სახე იცვალა სცენამ, მაყურებელთა დარბაზმა, საორკესტრომ, ფოიემ, თანამედროვე სტილით გადაწყდა ინტერიერები, იატაკი კურსების გრანიტით არის მოპირკეთებული, ხოლო კედლები — ხით. მოეწყო ანტრესოლი. თეატრის შესასვლელი ფასადი ეკლარის ქვით არის დამშვენებული, ხოლო პილასტრები — გრანიტის გაკრილებული ფიცრებით.

თეატრის შენობის გარდაქმნა და ფერისცვალება განხორციელდა რესპუბლიკის დამსახურებული არქიტექტორის გივი თოდაძის პროექტით. მან დიდი უნარი, ტალანტი და მონდომება ჩააქსოვა რეკონსტრუქციის ყველა დეტალში., კონსტრუქტორ ალ. ზაქარიაძესთან, მხატვრებთან ბ. ნებერიძესთან და ო. ქანდარიასთან ერთად იგი პირადად იღებდა მონაწილეობას მთელ რიგ სამუშაოებში.

ჩანაფიქრს ფრთები შეასხეს და რეკონსტრუქციის სამუშაოები განახორციელეს ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს (უფროსი ვ. აბულაძე, მთავარი ინჟინერი ვ. მეძმარიაშვილი) მშენებლებმა. არ შეიძლება ქებით არ მოვიხსენიოთ უფროსი სამუშაოთა მწარმოებლები გ. ერისთავი, დ. გიორგაძე, გ. აბდალაძე, თ. გარდაფხაძე, კომპლექსურ სამუშაოთა ბრიგადირები კ. ბობოხიძე და ჯ. კობახიძე, კალატოზები: გ. ჯიშკარიანი და ვ. ცუხიშვილი, მებათქაშეები კ. ზვიდაძე, გ. ფარულავა, გ. შანიძე და ვ. ზივზივაძე, ხურო-ები გ. გელაშვილი, შ. ბეიძე, ს. სირბილაძე, დ. გოგლიჩიძე და თ. ტაიკოვი, მღებავები ვ. კეტეყმაძე, ნიკოლოზ და გრიგოლ კილაძეები, გრანიტის მომპირკეთებლები ვ. ცერცვაძე და ვ. ჭურბოვი.

სცენის სამონტაჟო სამუშაოებზე თავი ისახელეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სათეატრო სამონტაჟო-სამშენებლო სამმართველოს (უფროსი ლ. ორახელაშვილი, სამუშაოთა მწარმოებლები ე. ბახმანი და გ. ზატაშვილი) და ამავე სამინისტროს ელექტრომენტალო-საკონსტრუქტორო სახელოსნოს (დირექტორი ლ. ვერნიცკი) მემონტაჟეებმა.

თეატრის შენობის გათბობის, წყალსადენ-კანალიზაციისა და ელექტრომეურნეობის სამუშაოები შეასრულეს „საქელექტრომონტაჟის“ და „საქსანტექმონტაჟის“ ქუთაისის სამმართველოების (უფროსები ვ. ტატუნაშვილი და ი. გაგუა, სამუშაოთა მწარმოებლები ი. მეგრელიშვილი და ნ. არჩაია) მემონტაჟეებმა.

სამუშაოთა ტემპების დაჩქარებასა და ხარისხიანად შესრულებაში მშენებელ-მემონტაჟეებს დიდი დახმარება გაუწიეს საავტომობილო, ელექტრომექანიკური, მინის ტარის, ქვის დამუშავებელი, სარემონტო-მექანიკური ქარხნების, ავეჯის ფაბრიკის, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს და სხვა საწარმოთა კოლექტივებმა.

ბარაქალა ყველას, ვინც თავისი მადლიანი შრომა და გული სითბო ჩააქსოვა ამ საშვილიშვილო საქმეში!

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

• • •

სურათზე: თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ქუთაისის ფილიალის შენობის ხედი.
ფოტო ბ. ბოგოხიასი.

მ. რაიმანის მოწოდება

ბონი, 25 დეკემბერი. (საკდესი). გერმანიის კომუნისტური პარტიის შექმნის მოახლოებულ 51 წლისთავთან დაკავშირებით გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა მაქს რაიმანმა კვლავ მოითხოვა ამ პარტიის აკრძალვის გაუქმება. აკრძალვა ბონის ხელისუფლებამ გამოაცხადეს 18 წელზე მეტი ხნის წინათ.

გაზეთ „უნზერე ცაიტში“ გამოქვეყნებულ სტატიაში მაქს რაიმანი აცხადებს, რომ „გერმანიის კომუნისტური პარტიის აკრძალვა იყო „ცივი ომისა“ და ანტიკომუნისტური ისტერიის შედეგი“. აკრძალვა უნდა გაუქმდეს დემოკრატიისა და საზოგადოებრივი პროგრესის ინტერესებისათვის, ხაზს უსვამს მაქს რაიმანი.

□ □

ნასერის გაფრთხილება

კაირო, 26 დეკემბერი. (საკდესი). „არაბული ქვეყნების მეთაურთა თათბირმა მიაღწია გარკვეულ დადებით შედეგებს, მიუხედავად თათბირის მუშაობის დროს გამოვლინებული უთანხმოებისა“, — განაცხადა გუშინ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბამალ აბდელ ნასერმა ალჟირის აეროპორტში.

როგორც მენის სააგენტო იუწყება, პრეზიდენტმა ნასერმა თქვა: „ვითვალისწინებთ რა ისრაელის საერთაშორისო იმპერიალიზმის ხრიკებისა და უწინარეს ყოვლისა მთელი ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ არაბული ქვეყნების ბრძოლის ახლანდელი ეტაპის განსაკუთრებულ პირობებს, ამ თათბირზე გადაწყვიტეთ არ გამოგვიქვეყნებინა არავითარი კომუნიკე, რომელიც რაიმე არარეალისტურ იმედებს გაუღვივებდა არაბ ხალხებს“.

ეძებენ აღგილებს ბაზებისათვის

სტამბოლი, 25 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთი „აქშამი“ წერს, რომ ლიბიის არაბთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე უცხოეთის ყველა სამხედრო ბაზის ლიკვიდაციის გამო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თურქეთს სთხოვა ამერიკის ულუს ფილდის საჰაერო ბაზის ლიბიიდან თურქეთის ტერიტორიაზე გადმოტანის შესახებ „ნატოს სამხედრო-საჰაერო ძალების სასწავლო ბაზის სახით“.

გაზეთი აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების წინადადების სწავლობენ. თურქეთის ოფიციალურ წრეებს ჯერჯერობით არც უარუყვიათ და არც დაუდასტურებიათ ამერიკის შეერთებული შტატების ამგვარი თხოვნის ფაქტი.

ამ ხოლოდ ფაქტები

● **პარიზი, 25 დეკემბერი, (საკდესი). საფრანგეთი მონაწილეობას არ მიიღებს დასავლეთ ევროპის კავშირის საბჭოს მორიგ სხდომაში, რომელიც გაიმართება 1970 წლის იანვარში, განაცხადა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა.**

● **ნიუ-იორკი, 26 დეკემბერი. (საკდესი). ლუზიანის შტატის ქალაქ ჯაპლანს გადაუარა გრიგალმა, რის შედეგად დაინგრა 8 სახლი და 12 დაზიანდა. დაზიანების ზოლის სიგანემ 1,5 კილომეტრს მიაღწია.**

რეაქციის ძალების წინააღმდეგ

**ბერლინი, 25 დეკემბერი. (საკდესი). გერმანიის იმპერიალიზმის ექსპანსიონისტურმა პოლიტიკამ გამოიწვია ორი მსოფლიო ომი. ახლა დადგა დრო, რომ დასავლეთ გერმანიის მოქალაქეებმა შეიგნონ მათზე დაკისრებული დიდი პასუხისმგებლობა და გაანადგურონ ნეონაცისტური ძალების საფრთხე. ასეთია ეს ინიციატივა, ასეთია ეს ლოზუნგი,